Как известно, реверсивный чиллер (или тепловой насос) вырабатывает теплоту  $Q_1$  в  $[(1+\epsilon)/\epsilon]$  раза большей величины по сравнению с холодопроизводительностью  $Q_2$  (где  $\epsilon=Q_2/L$  есть холодильный коэффициент чиллера);  $L$  - мощность или электроэнергия, затрачиваемая на электромотор чиллера. Поэтому предусмотренные принятым проектом чиллеры с суммарной холодильной мощностью  $Q_2=9000$  кВт способны генерировать теплоту на теплоснабжение большей величины по сравнению с потребной по принятому проекту ( $Q_1=10200$  кВт), даже при  $\epsilon=2$ .

В условиях г.Батуми холодильный коэффициент современных чиллеров с конденсаторами даже с непосредственным воздушным охлаждением в действительном цикле  $\epsilon = 2,8$  (см., например, чиллер DAIKIN EWAQ130DAYNN), т.е. при  $Q_2=9000$  кВт требуемая электрическая мощность привода чиллеров в принятом проекте при их использовании для кондиционирования воздуха летом составит  $L_{чл}=(9000:2,8)=3,21$  МВт.

При источнике теплоты в виде глубинной морской воды с постоянной температурой 8<sup>0</sup>С и при температуре верхнего источника теплоты 55<sup>0</sup>С коэффициент термотрансформации теплового насоса

$$\varphi = \frac{T}{T - T_0} a = \frac{(273,15 + 55)}{(55 - 8)} 0,7 = 4,9. \quad (1)$$

Здесь коэффициент  $a$  суммарно учитывает все потери: потери термодинамического цикла, потери в электромоторе и потери от внешней необратимости при теплопередаче в испарителе и конденсаторе реверсивного чиллера (теплового насоса).

Для чиллеров с винтовым компрессором и с современным теплообменным оборудованием  $a \approx 0,7$ .

Согласно принятому проекту тепловая нагрузка на отопление и вентиляцию зимой  $Q_{от} = (10162-3147)=7015$  кВт, а на круглогодичное горячее водоснабжение -  $Q_{гв} = 3147$  кВт. Следовательно, расход электроэнергии на отопление и вентиляцию с помощью теплового насоса при продолжительности отопительного сезона  $\tau_{от} = 2600$  ч будет  $\Xi_{от} = Q_{от} \cdot \tau_{от} / \varphi = 3,72 \cdot 10^6$  кВт.ч, а на горячее водоснабжение при коэффициенте неравномерности 2,0  $\Xi_{гв} = Q_{гв} \cdot 8400 / 2 \cdot \varphi = 2,70 \cdot 10^6$  кВт.ч.

Суммарная величина годового расхода электроэнергии на теплоснабжение составит

$$\Sigma \mathcal{E}_{\text{тс}} = \mathcal{E}_{\text{от}} + \mathcal{E}_{\text{гв}} = 6,42 \cdot 10^6 \text{ кВт.ч.}$$

В принятом проекте годовой расход природного газа при теплоснабжении с помощью бойлеров

$$\Sigma M_{\text{тс}} = M_{\text{от}} + M_{\text{гв}} = (Q_{\text{от}} \cdot \tau_{\text{от}} + Q_{\text{гв}} \cdot \tau_{\text{гв}}) / Q_{\text{н}} = 4,8 \cdot 10^6 \text{ м}^3.$$

Здесь  $Q_{\text{н}}$  - низшая теплота сгорания природного газа  $Q_{\text{н}} = 8000 \text{ ккал/м}^3$ ;  $\tau_{\text{гв}} = 8400 \text{ ч}$  (350 дней в году) - количество часов горячего водоснабжения в год.

Цены на электроэнергию и природный газ в г. Батуми на сегодняшний день составляют:

на электроэнергию -  $C_{\mathcal{E}} = \$0,0647 / \text{кВт.ч.}$ ;

на природный газ -  $C_0 = \$0,304 / \text{м}^3$ .

Следовательно, эксплуатационная годовая затрата на теплоснабжение при использовании природного газа  $Z_{\text{шт}} = \Sigma M_{\text{тс}} \cdot C_0 = \$1,46 \cdot 10^6 / \text{год}$ .

Эксплуатационные годовые затраты на теплоснабжение при помощи тепловых насосов состоят из затрат на электроэнергию электромоторов тепловых насосов -  $Z_{\text{тс}} = \Sigma \mathcal{E}_{\text{тс}} \cdot C_{\mathcal{E}} = \$0,41 \cdot 10^6 / \text{год}$  и на транспортировку глубинной морской воды к испарителям тепловых насосов с последующим отводом использованной воды обратно в верхние слои моря.

Секундный расход глубинной морской воды на отопление и вентиляцию при  $\Delta T$  в испарителях тепловых насосов  $\Delta T = 8 - 3 = 5^\circ \text{C}$

$$G_{\text{от}} = Q_2^{\text{от}} / C_{\text{р}} \cdot \Delta T = Q_{\text{от}} \frac{\varphi - 1}{\varphi} / C_{\text{р}} \Delta T = 266,7 \text{ кг/с.}$$

Здесь  $C_{\text{р}}$  - удельная теплоемкость воды. Секундный расход морской воды на горячее водоснабжение

$$G_{\text{гв}} = Q_{\text{гв}} / C_{\text{р}} \cdot \Delta T = Q_2^{\text{гв}} \frac{\varphi - 1}{\varphi} / C_{\text{р}} \Delta T = 119,6 \text{ кг/с.}$$

Годовой расход морской воды на отопление и вентиляцию

$$G_{\text{от}}^{\text{год}} = G_{\text{от}} \cdot 2600 = 2496312 \text{ т/год,}$$

а на горячее водоснабжение при коэффициенте часовой неравномерности, равным 2,

$$G_{\text{гв}}^{\text{год}} = G_{\text{гв}} \cdot 8400 / 2 = 1808352 \text{ т/год.}$$

Для определения расчетного срока окупаемости нового прогрессивного решения теплоснабжения, в первую очередь, необходимо определить относительную стоимость трубопровода морской воды с насосной станцией, так как трубопровод используется для получения и теплоты и холода. Поэтому суммарную стоимость трубопровода и насосной станции  $C_{\text{мт}}$  следует распределить на составляющие

$$C_{\text{мт}} = C_{\text{мт}}^{\text{тс}} + C_{\text{мт}}^{\text{хс}},$$

или доля стоимости трубопровода с насосной станцией, отнесенная на теплоснабжение,

$$C_{\text{мт}}^{\text{тс}} = C_{\text{мт}} / (1 + C_{\text{мт}}^{\text{хс}} / C_{\text{мт}}^{\text{тс}}) = C_{\text{мт}} / (1 + \mu), \quad (2)$$

где  $C_{\text{мт}}^{\text{хс}}$  - доля стоимости, отнесенная на хладоснабжение, т.е. на кондиционирование воздуха внутри помещений гостиничного комплекса летом.

При определении относительной стоимости трубопровода с насосной станцией наиболее оправдано принятие условий, что

$$\mu = G_{\text{хс}}^{\text{год}} / G_{\text{тс}}^{\text{год}} = G_{\text{хс}} \cdot \tau_{\text{хс}} / (G_{\text{от}} \cdot \tau_{\text{от}} + G_{\text{гв}} \cdot \tau_{\text{гв}}), \quad (3)$$

где  $G_{\text{хс}}^{\text{год}}$  и  $G_{\text{тс}}^{\text{год}}$  соответственно годовые расходы морской воды на хладоснабжение и на теплоснабжение;  $G_{\text{хс}}$  - секундный расход морской воды на хладоснабжение;  $\tau_{\text{хс}} = 2400 \text{ ч}$  - период хладоснабжения гостиничного комплекса.

При холодильной мощности 9000 кВт и нагреве глубинной морской воды в межконтурном теплообменнике от 8 до 12 $^\circ \text{C}$   $G_{\text{хс}} = 537,4 \text{ кг/с} = 1934,64 \text{ т/ч}$ . Соответственно  $G_{\text{хс}}^{\text{год}} = 4643136 \text{ т/год}$ ;  $G_{\text{тс}}^{\text{год}} = 4304664 \text{ т/год}$ , а их отношение  $\mu = 1,08$ .

По расчетам турецкой компании "Kartan" стоимость трубопровода с насосной станцией "под ключ" составляет

$$C_{MT} = 2,381 \cdot 000E = \$3,285780.$$

Таким образом, при расчете суммарного капвложения на основные узлы новой схемы теплоснабжения, составляющие стоимости морского трубопровода (подающего и отводящего) с насосной станцией согласно (2) и (3) равны: при теплоснабжении  $C_{MT}^{TC} = \$1579702$ , а при хладоснабжении  $C_{MT}^{XC} = C_{MT} - C_{MT}^{TC} = \$1706078$ .

Мощность насоса морской воды с учетом сопротивления испарителя теплового насоса и высоты уровня моря над диффузором сброса отработанной воды в море

$$N_H^i = \frac{\Delta P_D}{\rho \cdot \eta_H} G_i \quad (4)$$

Здесь  $\rho$  - плотность морской воды;  $\eta_H = 0,85$  - КПД насоса;  $\Delta P_D$  - действительный перепад давлений;  $G_i$  - секундный расход морской воды.

Расход электроэнергии на транспортировку морской воды для нужд отопления и вентиляции

$$\Theta_H^{OT} = N_H^{OT} \cdot \tau_{OT} = 138,4 \cdot 2600 = 359840 \text{ кВт.ч};$$

для нужд горячего водоснабжения

$$\Theta_H^{GB} = N_H^{GB} \cdot \tau_{GB} = 62,1 \cdot 8400 / 2 = 260820 \text{ кВт.ч.}$$

Соответственно суммарная годовая затрата на транспортировку морской воды при теплоснабжении

$$\Sigma Z_H = (\Theta_H^{OT} + \Theta_H^{GB}) C_3 = \$40156,7.$$

В табл.1 приведены результаты расчетов, позволяющие сравнить схему и способ теплоснабжения принятого проекта с предлагаемым. Согласно этим данным расчетный срок окупаемости новой схемы теплоснабжения гостиничного комплекса

$$t_{рас} = \frac{K_1^{TC} - K_2^{TC}}{Z_2^{TC} - Z_1^{TC}} = \frac{3,72 \cdot 10^6}{(1,46 - 0,45)10^6} = 3,7 \text{ год.} \quad (5)$$

Сводная таблица теплоснабжения гостиничного комплекса г.Батуми

Таблица 1

№	Принятый проект		Предлагаемый проект	
	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса
	\$	\$	\$	\$
1	Годовые затраты на природный газ - $Z_{пр} = 1,46 \cdot 10^6$	Стальные бойлеры $Z_{Бл} = 10200 \cdot 40 = 0,41 \cdot 10^6$	Годовые затраты на электроэнергию тепловых насосов $Z_{тс} = 0,41 \cdot 10^6$	Трубопровод морской воды с насосной станцией ("под ключ") $C_{MT}^{TC} = 1579702$
2	-	-	Годовые затраты на электроэнергию насоса морской воды $Z_H^{TC} = 0,04 \cdot 10^6$	Реверсивные чиллеры (тепловые насосы) $Z_{чл} = 102000 \cdot 250 = 2,55 \cdot 10^6$
Итого:		Итого:		
	$Z_2^{TC}$	$K_2^{TC}$	$Z_1^{TC}$	$K_1^{TC}$
	$1,46 \cdot 10^6$	$0,41 \cdot 10^6$	$0,45 \cdot 10^6$	$4,13 \cdot 10^6$



## 2. Хладоснабжение

В отличие от теплоснабжения морской водой, при котором глубинная вода непосредственно подается в испарители (с титановыми трубками) тепловых насосов, хладоснабжение комплекса осуществляется охлаждением чистой воды из фанкойлов (и другого теплообменного оборудования) с помощью межконтурного теплообменника. Режим работы фанкойлов летом  $9/14^{\circ}\text{C}$  (такие фанкойлы выпускаются промышленностью), а в первом контуре глубинная морская вода нагревается от  $8$  до  $12^{\circ}\text{C}$ . Расход морской воды при холодильной нагрузке  $9000$  кВт  $G_{\text{хч}}=9000/C_p \cdot 4=537,4$  кг/с, а годовой расход

$$G_{\text{XC}}^{\text{Год}}=G_{\text{XC}} \cdot \tau_{\text{XC}} = G_{\text{XC}} \cdot 2400 = 4643136 \text{ т/год.}$$

Расход электроэнергии насоса, функционирующего для транспортировки морской воды в год, т.е. при кондиционировании воздуха летом,

$$\mathcal{E}_{\text{XC}}^{\text{Год}} = N_{\text{XC}} \cdot 2400 = 669385 \text{ кВт.ч,}$$

а в принятом проекте, т.е. при кондиционировании воздуха с помощью чиллеров,

$$\mathcal{E}_{\text{чл}}^{\text{Год}} = 7714286 \text{ кВт.ч.}$$

Таким образом, для кондиционирования воздуха летом с использованием глубинной морской воды требуется электроэнергия в 11,5 раз меньше по сравнению с традиционным методом охлаждения помещений.

В табл. 2 представлены результаты расчетов хладоснабжения, позволяющие сравнить по основным показателям новую схему с принятым проектом кондиционирования воздуха в летний период.

Следует отметить, что в принятом проекте используются чиллеры с конденсаторами водяного охлаждения, однако затем подогретая вода охлаждается воздухом в теплообменниках, расположенных на крыше комплекса (что создает ощутимые неудобства в процессе эксплуатации). Поэтому стоимость чиллеров в принятом проекте будет больше реверсивных в новой схеме теплохладоснабжения. Несмотря на это, в табл.2 это обстоятельство не учитывается. Из таблицы видно, что при переходе от традиционного метода хладоснабжения к прогрессивному методу использования холодных слоев воды Черного моря достигается существенная экономия:

- 1) по эксплуатационным затратам - \$455805;
- 2) по капвложениям - \$443922.

Сводная таблица хладоснабжения гостиничного комплекса г.Батуми

Таблица 2

№	Принятый проект		Предлагаемый проект	
	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса
	\$	\$	\$	\$
1	Затраты (годовые) на электроэнергию $\mathcal{E}_{\text{чл}}^{\text{Год}} = 0,50 \cdot 10^6$	Чиллеры (6 шт) с холодильной мощностью 9000 кВт $K_{\text{чл}}=2,55 \cdot 10^6$	Годовые затраты на электроэнергию (на привод насоса морской воды) $\mathcal{E}_{\text{Н}}^{\text{XC}} = 0,043 \cdot 10^6$	Трубопровод морской воды с насосной станцией ("под ключ") $C_{\text{MT}}^{\text{XC}} = 1706078$
2	-	-	-	Межконтурный титановый теплообменник -GEA (Германия) $K_{\text{ТО}}=0,40 \cdot 10^6$ (2 шт.)
И т о г о:		И т о г о:		
	$\mathcal{E}_2^{\text{XC}}$	$K_2^{\text{XC}}$	$\mathcal{E}_1^{\text{XC}}$	$K_1^{\text{XC}}$
	$0,50 \cdot 10^6$	$2,55 \cdot 10^6$	$0,043 \cdot 10^6$	$2,1 \cdot 10^6$

В табл.3 представлены результаты расчетов, суммирующие данные табл. 1 и 2.  
Сводная таблица теплохладоснабжения гостиничного комплекса г.Батуми

Таблица 3

№	Принятый проект		Предлагаемый проект	
	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса	Эксплуатационные затраты	Капвложения в основные агрегаты и узлы комплекса
	\$	\$	\$	\$
1	Годовые затраты на природный газ - $Z_{пр} = 1,46 \cdot 10^6$	Стальные бойлеры $Z_{Бл} = 10200 \cdot 40 =$ $= 0,41 \cdot 10^6$	Годовые затраты на электроэнергию тепловых насосов $Z_{тс} = 0,41 \cdot 10^6$	Трубопровод морской воды с насосной станцией ("под ключ") $C_{MT}^{ТС} = 3,28 \cdot 10^6$
2	Годовые затраты на электроэнергию чиллеров $\Sigma_{ч} = 0,50 \cdot 10^6$	Чиллеры (6 шт) с холодильной мощностью 9000кВт $K_{чл} = 2,55 \cdot 10^6$ *	Годовые затраты на электроэнергию насоса морской воды $\Sigma_{Н} = 0,083 \cdot 10^6$	Реверсивные чиллеры (тепловые насосы) $Z_{чл} = 102000 \cdot 250 =$ $= 2,55 \cdot 10^6$ *
3	-	-	-	Межконтурный титановый теплообменник-GEA (Германия) $K_{ТО} = 0,40 \cdot 10^6$ (2 шт.)
Итого:		Итого:		
	$\Sigma Z_2$	$\Sigma K_2$	$\Sigma Z_1$	$\Sigma K_1$
	$1,96 \cdot 10^6$	$2,96 \cdot 10^6$	$0,49 \cdot 10^6$	$6,23 \cdot 10^6$

Примечание: \* - стоимость без учета затрат на монтажные работы.

Согласно данным табл. 3 расчетный срок окупаемости новой системы теплохладоснабжения по сравнению с принятым проектом

$$t_{рас}^{сист} = \frac{\Sigma K_2 - \Sigma K_1}{\Sigma Z_2 - \Sigma Z_1} = \frac{6,23 - 2,96}{1,96 - 0,49} = 2,2 \text{ года.}$$

Гарантийный срок работы тепловых насосов - 30÷35 лет.

За оставшийся срок эксплуатации тепловых насосов  $(30-2,2)=27,8$  лет суммарная величина прибыли составит

$$\Sigma P_r = (1,96 - 0,49) \cdot 10^6 \cdot 27,8 = \$40,9 \cdot 10^6,$$

а ежегодная прибыль  $P_r = \$1,47 \cdot 10^6$ .

Следует отметить, что переход на новую схему теплохладоснабжения не требует изменений теплообменного оборудования в здании комплекса, а также переделки архитектурно-строительного характера.

Необходимо особо подчеркнуть, что удаление дымоходов, предназначенных для бойлеров принятого проекта, кроме весомого экологического эффекта, значительно улучшает эстетический вид комплекса.

Схемы прокладки трубопроводов и их диаметры при хладоснабжении идентичны. Изменение режима кондиционирования с 7/12 на 9/14<sup>0</sup>С увеличивает лишь на 10÷23% поверхность теплообмена фанкойлов, что находится в прямой зависимости от расхода охлаждающей воды в вышеуказанных устройствах. Однако эти же фанкойлы в режиме 45/55<sup>0</sup>С будут использоваться для отопления. Увеличение габаритов потребуется и для статичных радиаторов и теплообменников для вентиляции воздуха. Однако, по нашим оценкам, удорожание указанного оборудования компенсируется удалением из схемы шести теплообменников чиллеров типа воздух-вода, расположенных на крыше здания и

соответственно восьми стояков для циркуляции подогретой в конденсаторах четырех чиллеров воды.

На рис.4. представлена принципиальная схема теплохладоснабжения гостиничного комплекса с использованием глубинной морской воды (на примере двух тепловых насосов). Среди других особенностей предлагаемой схемы следует отметить ее способность использовать реверсивные тепловые насосы летом в режиме чиллера в случае формажорной ситуации, например, при повреждении глубинного трубопровода морской воды.




Рис. 4. Принципиальная схема теплохладоснабжения на основе использования глубинной воды Черного моря:

1 - насос глубинной морской воды; 2 - межконтурный теплообменник; 3 - тепловой насос горячего водоснабжения; 4 - реверсивный тепловой насос; 5 - фанкойл; 6,7 - соответственно трубопровод для подачи охлажденной воды в теплообменники вентиляционных агрегатов и отвода из них; 8,9 - соответственно трубопровод для подачи подогретой (до 55<sup>0</sup>С) воды в теплообменники вентиляционных агрегатов и отвода из них; 10- насос сброса отработанной воды обратно в море (на глубину 20-30 м); 11 - эжектор

#### Выводы

1. Эксперименты, проведенные в течение 2-х лет, подтвердили предположение, основанное на известных источниках в области научно-экспериментальных исследований, что температура глубинной воды в акватории г.Батуми на глубинах более 50 м составляет 8<sup>0</sup>С и практически постоянна.

2. Анализ и расчет системы теплохладоснабжения на основе использования глубинной морской воды свидетельствует о ее преимуществе по экономическим и экологическим показателям перед традиционным методом получения холода с помощью парокомпрессионных холодильных машин, а теплоты - путем сжигания органического топлива, непосредственно для климатических условий г.Батуми и соотношения цен на природный газ и электроэнергию в Грузии. В частности, для кондиционирования воздуха летом требуется в 11,5 раза меньше электроэнергии, по сравнению с традиционным методом охлаждения помещений, а эксплуатационные годовые затраты на теплоснабжение согласно инновационного проекта в 3,2 раза меньше по сравнению с теплоснабжением с помощью бойлеров, работающих на природном газе.

3. Расчетный срок окупаемости новой системы теплохладоснабжения составляет 2,2 года.

4. При теплоснабжении с использованием глубинной морской воды полностью исключается потребность в топливе, в том числе в природном газе, при сжигании которого в целях обогрева помещений, на каждые 1000 м<sup>2</sup> площади выброс углекислого газа в течение отопительного сезона в г.Батуми составит 63-65 т.

5. Защита окружающей среды является прерогативой государства. Поэтому с учетом интенсивного развития туризма в Причерноморье Грузии государство обязано быть инициатором внедрения в этой зоне коэволюционной технологии теплохладоснабжения на строящихся объектах, тем более, что в этом случае "принуждение" со стороны государства обеспечит частным компаниям многомиллионные доходы в период эксплуатации новой системы теплохладоснабжения.

Необходимо подчеркнуть, что глубинную воду Черного моря, кроме гостиничных, спортивных и жилищных комплексов, экономически и экологически выгодно использовать и в крупных овощехранилищах для производства холода (до 15<sup>0</sup>C), а также в технологических процессах переработки чайного листа, что особенно важно для Грузии.

*От редакции:* Проект использования глубинных слоев Черного моря для кондиционирования воздуха был разработан проф. В.Джамарджашвили в начале 80-х годов в институте энергетики Грузии, который прекратил свое существование в конце 2010 г. Далее этот вопрос был актуализирован после приобретения независимости в начале 90-х, а в конце 90-х - результаты научных отчетов были представлены в нашем журнале. Между тем аналогичный проект на озерной глубинной воде был реализован в Канаде (г.Торонто) в 2004 г. Впоследствии ему была присуждена премия Леонардо да Винчи, которая является аналогом Нобелевской премии в технической отрасли. Таким образом, при соответствующем уровне внедрения в область новых технологий в Грузии указанную премию получила бы Грузия, а не Канада.

N230

7 აგვისტო 2012

საქართველოს მთავრობის კანცელარიას

მოგახსენებთ სააქციო საზოგადოება «საპარტნიორო ფონდის» შვილობილი კომპანია შპს «პორტი ლაზიკა» (ს/კ: 404426073) (შემდგომში «კომპანია») ახორციელებს ანაკლიის მიმდებარე სანაპირო ზოლზე პორტის მშენებლობისა და განვითარების პროექტს.

პორტის მშენებლობის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების დროულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით მიზანშეწონილია ტერიტორიის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პუნქტის საფუძველზე შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვით.

მოგმართავთ თხოვნით უზრუნველყოთ ზემოთაღნიშნული საკითხის საქართველოს მთავრობასთან შეთანხმება.

პატივისცემით,



გიორგი ჭილაძე

აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე

## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№\_\_ 2012 წლის \_\_აგვისტო ქ. თბილისი

შპს "პორტი ლაზიკა"-ს მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული  
შესყიდვით განხორციელების შესახებ

1. "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 ნაწილის (დ) პუნქტის საფუძველზე, ანაკლიის მიმდებარე სანაპირო ზოლზე პორტის მშენებლობის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების დროულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით, სს "საპარტნიორო ფონდის" შვილობილი კომპანია შპს « პორტი ლაზიკას » (ს/კ : 404426073) მიერ ტერიტორიის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოები შესყიდულ იქნას გამარტივებული შესყიდვით.

2. მოწონებულ იქნას ზემოაღნიშნული სამუშაოების შესყიდვის შესახებ შპს "პორტი ლაზიკა"-სა და შპს "ხიდმშენს" შორის გასაფორმებელი ხელშეკრულება წარმოდგენილი სახით (დანართი #1) და დაევალოს შპს « პორტი ლაზიკას » (ს/კ : 404426073) განხორციელოს გამარტივებული შესყიდვა აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე.

პრემიერ-მინისტრი

ივანე მერაბიშვილი

## ხელშეკრულება №

სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი

„---“ „-----“ 2012 წელი

ერთის მხრივ, შპს „პორტი ლაზიკა,“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ხიდშენი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“). ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შპს „პორტი ლაზიკას“ მიერ საქართველოს მთავრობის 2012 წლის --- #----- განკარგულებისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 3<sup>1</sup>-ე ნაწილის საფუძველზე, სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა გამარტივებული შესყიდვის გზით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია თანდართული მუშა პროექტისა (გრაფიკული ნაწილი, სამუშაოთა მოცულობები) და მის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, განხორციელოს პორტი „ლაზიკას“ პირველი ეტაპის სამშენებლო სამუშაოები (შემდგომში – „სამშენებლო სამუშაოები“).

### 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს დღგ-ს გარეშე – 7 049 500, 88 (შვიდი მილიონ ორმოცდაცხრა ათას ხუთასი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარს. ამასთან, ხელშეკრულების საბოლოო საერთო ღირებულება დაკორექტირდება მუშა პროექტზე ჩატარებული ექსპეტიზისა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, თანდართულ „ხარჯთაღრიცხვაში“ გათვალისწინებული ერთეული ღირებულებების შესაბამისად, რის თაობაზეც მხარეებს შორის გაფორმდება დამატებით შეთანხმება.

3.2. თუ მუშა საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზის შედეგად შემცირდა პროექტით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, მაშინ შესაბამისად შემცირდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

### 4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია სამუშაოების მიმდინარეობისას ნებისმიერ დროს აწარმოოს შესასრულებელი სამუშაოების შესაბამისობის კონტროლი, საკუთარი ძალებით ან მის მიერ დაქირავებული ზედამხედველის მეშვეობით.

4.2. სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის, ვადების, განხორციელების ადგილისა და საჭიროების მიხედვით სხვა აუცილებელი ინფორმაციის კონტროლს განხორციელებს „შემსყიდველის“ მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, რომლის შესახებაც „შემსყიდველი“ დამატებით აცნობებს „მიმწოდებელს.“

4.3. „შემსყიდველს“ უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან“ სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

### 5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაოები, ექსპლუატაციის ნორმების დაცვის შემთხვევაში, არ გამოავლენს დეფექტებს.

5.2. „მიწოდებელი“ ობიექტის მიღების დღიდან 5 (ხუთი) კალენდარული წლის მანძილზე იძლევა გარანტიას შესრულებულ სამშენებლო სამუშაოებზე და დეფექტის გამოვლენის შემთხვევაში იღებს ვალდებულებას მოახდინოს მათი გამოსწორება საკუთარი ხარჯებით.

5.3. შესრულებულ სამუშაოებში რაიმე სახის ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, „მიწოდებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ, საკუთარი ხარჯებით, გამოასწოროს არსებული ხარვეზი.

#### **6. სამუშაოს შესრულების პირობები**

6.1 მიწოდებელი ვალდებულია სამშენებლო სამუშაოები განახორციელოს თანდართული დანართის (მუშა პროექტი) შესაბამისად.

6.2 შემსყიდველის მიერ, შესრულებულ სამუშაოში ხარვეზების არსებობის აღმოჩენის შემთხვევაში, მიწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ დაიწყოს მუშაობა ხარვეზის აღმოსაფხვრელად და გამოასწოროს ხარვეზი (ხარვეზები) საკუთარი ხარჯებით.

6.3. მიწოდებელი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები განახორციელოს არაუგვიანეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 90 (ოთხმოცდაათი) კალენდარულ დღეში.

6.4. მიწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან, შესყიდვის ობიექტზე ტექნიკური დანადგარების მონტაჟთან, მათ გაშვება-გამართვასთან და შემდგომ ექსპლუატაციასთან.

6.5 სამუშაოების განხორციელების ვადის ათვლა ჩერდება (პუნქტი 6.3) ექსპერტიზის პერიოდის ვადით. შესრულებულ სამუშაოებზე, ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) მიერ უარყოფითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, მიწოდებელს დაერიცხება პირგასამტეხლო (როგორც პირველი, ასევე ყოველი შემდგომი) ექსპერტიზისათვის დახარჯული ვადის ჩათვლით ამ ხელშეკრულების 14.1 პუნქტის შესაბამისად.

#### **7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

7.1. შესრულებული სამუშაოების (შესყიდვის ობიექტი) მიღება-ჩაბარება ხორციელდება შემსყიდველისა და მიწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ, მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიწოდებლის მიერ ეტაპობრივად შესრულების შემდეგ და ექსპერტის/ან ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის გათვალისწინებით, რაც დასტურდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტით.

7.2 ეტაპობრივად შესრულებული სამშენებლო სამუშაოს მიღება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული სამუშაოს ღირებულება აღემატება 150 000 (ასორმოცდაათი ათასი) ლარს დღგ-ს გარეშე.

7.3 თუ მიღება ჩაბარებით გათვალისწინებული სამუშაოების ჯამური საბოლოო ღირებულება ნაკლები აღმოჩნდება ხელშეკრულების საერთო ღირებულებაზე მაშინ ანაზღაურდება მხოლოდ მიღება ჩაბარებით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება, ხოლო დარჩენილი თანხით შემცირდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

7.4 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტი დგება ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან სამი გადაეცემა შემსყიდველს, ხოლო ერთი მიწოდებელს.

7.5 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების აქტის შედგენის და ხელმოწერის შემდეგ მიწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

#### **8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი**

8.1 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო ანგარიშსწორება კონსიგნაციით.

8.2 სამუშაო ანაზღაურდება „შემსყიდველისათვის“ შემდეგი დოკუმენტების წარდგენიდან 20 (ოცი) საბანკო დღის განმავლობაში:

- მიღება-ჩაბარების აქტი (დედანი);
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა (დედანი);
- ექსპერტის (ექსპერტთა ჯგუფის) დადებითი დასკვნა;

8.3 საბოლოო ანგარიშსწორებამდე მხარეები ადგენენ ურთიერთშედარების აქტს.



## **9. შემსყიდველის უფლება-მოვალეობანი**

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია, როგორც სამუშაოების მიმდინარეობისას, ასევე მათი დასრულების შემდგომ, ნებისმიერ დროს, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს მოცულობების, ხარისხისა და ვადების კონტროლი, გარკვეულ შემთხვევებში იმ მომსახურებათა და მოწყობილობების კონტროლი, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან.

9.2 შემსყიდველი ვალდებულია გადასცეს მიმწოდებელს სამშენებლო სამუშაოების წარმოებისათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაცია (ნებართვები და სხვა), რომელთა მოპოვება კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს შემსყიდველის უფლებამოსილებას.

9.3 სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მხრიდან შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (ექსპერტი, ან ექსპერტთა ჯგუფი).

9.4 შემსყიდველს უფლება აქვს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, მოითხოვოს მიმწოდებლისაგან სამუშაოების შესრულების შესახებ ინფორმაცია.

## **10. მიმწოდებლის უფლება-მოვალეობანი**

10.1. მიმწოდებელი უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას ამავე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

10.2 გარკვეულ შემთხვევებში მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს ყველა თანმდევი მომსახურება, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოთა შესრულებასთან, შესყიდვის ობიექტზე ტექნიკური დანადგარების მონტაჟთან, მათ გაშვება-გამართვასთან და შემდგომ ექსპლუატაციასთან.

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო პროცესში ჩართული საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის და მუშა-მოსამსახურეების შემადგენლობა უზრუნველყოს საქართველოს მოქალაქეებით არანაკლებ 70%-ის ოდენობით.

10.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული, შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება.

## **11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

## **12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა**

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## **13. ფორს-მაჟორი**

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაულახავი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდათ.

13.2 გადაულახავ ძალად ჩაითვლება შემდეგი (და არა მხოლოდ):

- ა) სტიქიური უბედურებანი (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა, შტორმი და სხვა);
- ბ) გამოცხადებული ან გამოუცხადებელი ომი, სამოქალაქო არეულობა, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედებები, საგანგებო მდგომარეობა;
- გ) ეპიდემიები;
- დ) ბლოკადა ან ნებისმიერი ეკონომიკური ემბარგო;

ე) ხელისუფლების ნებისმიერი ერთეულის ან ხელისუფლების მიერ საამისოდ კომპეტენტურად განსაზღვრული ორგანოს გადაწყვეტილება და ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც ზემოქმედებენ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და ცვლიან, წყვეტენ ან აჩერებენ წინამდებარე ხელშეკრულების დებულებებსა და პირობებს.

13.3. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.

13.4. ფორს-მაჟორული მოვლენების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა), დედანის შემდგომი აუცილებელი წარდგენით, და წარუდგინოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული ცნობა ფორს-მაჟორული გარემოების არსებობისა და ხანგრძლივობის მითითებით.

13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

13.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულებების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ორი კვირით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნით (ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით) ან სხვა ხელმისაწვდომი საშუალებით, რომელიც მიწოდებული იქნება მხარის მიერ იმ მისამართზე, რომელიც მითითებულ იქნა „შემსყიდველის“ პირველადი რეგისტრაციის დროს.

#### **14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა**

14.1 ამ ხელშეკრულების 6.3. მუხლით გათვალისწინებული საბოლოო ვადის გადაცდენის შემთხვევაში, ყოველი დაგვიანებული დღისთვის, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.

14.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა მიაღწევს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5% -ის ოდენობით.

#### **15. დავები და მათი გადაწყვეტის წესი**

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

#### **16. სხვა პირობები**

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. შემსყიდველი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ ის 2 კვირით ადრე წერილობით შეატყობინებს მიმწოდებელს ამის შესახებ.

16.4. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის წინამდებარე ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალ-მემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისთვის.

16.6 წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეთა შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას და შესაბამისად წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერამდე არსებული და წინამდებარე ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.

16.7 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორების ყველა დანართი წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

16.8 თუ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შეიცვლება წინამდებარე ხელშეკრულების მე-17 მუხლში მითითებული რომელიმე რეკვიზიტი, მხარე მოვალეა დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ მეორე მხარეს.

16.9 მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების გაუქმებას.

16.10. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

16.11. შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე, ან უარი განაცხადოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

16.12. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.13. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

### **17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები**

**„შემსყიდველი“**  
შპს „პორტი ლაზიკა“  
ქ. თბილისი,

**„მიმწოდებელი“**  
სს „ხიდმშენი“  
ქ. თბილისი, კოტე აფხაზის ქ. #15  
ს/კ 204379886  
სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი BAGAGE22  
ა/ა GE95BG 0000000 121346100  
ტ: 2987210; 577507337  
e-mail: khidmsheni@gmail.com

-----  
დირექტორი

-----  
ჯიმი მამალაძე  
დირექტორი



## საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1575 2012 წლის 7 აგვისტო ქ. თბილისი

შპს „პორტი ლაზიკას“ მიერ სახელმწიფო შესყიდვის  
გამარტივებული შესყიდვის საშუალებით  
განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანაკლიის მიმდებარე სანაპირო ზოლზე პორტის მშენებლობის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების დროულად და ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სს „საპარტნიორო ფონდის“ შვილობილმა კომპანიამ შპს „პორტი ლაზიკამ“ (ს/კ 404426073) ტერიტორიის მოსამზადებელი სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პრემიერ-მინისტრი



ივანე მერაბიშვილი